



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 260/ს
17/08/2022

260-21-4-202208171241



ქ. გარდაბანში წელიწადში 250 000 მ³ მიწისქვეშა მტკნარი წყლის სამეწარმეო მიზნით მოპოვების სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს მიერ, გზმ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია ქ. გარდაბანში წელიწადში 250 000 მ³ მიწისქვეშა მტკნარი წყლის სამეწარმეო მიზნით მოპოვების სკრინინგის განცხადება.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, სალიცენზიო ობიექტი (ერთი ჭაბურღილი) მდებარეობს ქ. გარდაბნის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე, ზღვის დონიდან 311 მეტრის სიმაღლეზე და წარმოდგენილია ერთ უბნად. წიაღითსარგებლობის ობიექტის GPS კოორდინატებია: X-507456.932; Y- 4590716.838. მონაცემთა ელექტრონული გადამოწმების შედეგად დგინდება, რომ სალიცენზიო ობიექტიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია დაახლოებით 40 მ-ით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში სალიცენზიო ობიექტიდან გათვალისწინებულია წელიწადში 250 000 მ³ მიწისქვეშა მტკნარი წყლის სამეწარმეო მიზნით მოპოვება, ხოლო ლიცენზიის გაცემის ვადად განსაზღვრულია 25 წელი. შესაბამისად, ლიცენზიის ფარგლებში მოსაპოვებელი მიწისქვეშა მტკნარი წყლის საერთო მოცულობა შეადგენს 6 250 000 მ³-ს.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ჰიდროგეოლოგიური დარაიონების თვალსაზრისით, წიაღითსარგებლობის ობიექტის ტერიტორია მიეკუთვნება ფოროვანი და ნაპრალოური წყლების მარნეული-გარდაბნის არტეზიულ აუზს. წყალშემცველი ჰორიზონტი ლითოლოგიურად წარმოდგენილია კაჭარ-კენჭნარით, ხრემის, ქვიშისა და ქვიშნარის შემავსებლებით. ჰორიზონტის საგებად წარმოდგენილია ჯაჭარ-კენჭნარის კონგლომერატები თიხისა და თიხნარის შემავსებლით, რაც წყალგაუმტარის როლს ასრულებს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, მორფოლოგიური თვალსაზრისით ჭაბურღილი მდებარეობს მდ. მტკვრის მარცხენა, ვაკე რელიეფის მქონე ჭალისზედა I ტერასაზე. საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით, სალიცენზიო ობიექტის ტერიტორია მიეკუთვნება I (მარტივი) სირთულის კატეგორიას.

წიაღითსარგებლობის ობიექტის გეოდინამიკური სიტუაცია სტაბილურია და ექსპლუატაციის ეტაპზე გართულებები მოსალოდნელი არ არის.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ქიმიური შედგენილობით, წყლები ძირითადად ჰიდროკარბონატულ-სულფატური, კალციუმიან-ნატრიუმიანი, იშვიათად სულფატურ-ჰიდროკარბონატული, ნატრიუმიან-კალციუმიანი ან მაგნიუმიან-კალციუმიანი ტიპისაა, საერთო მინერალიზაციით 0,63–1,33 გ/ლ-მდე. საერთო სიხისტე 1,5–10.0 მგ/ექვ. pH 7,1-7,8. მიწისქვეშა წყლების ტემპერატურა შეადგენს 14-16°C-ს და მათი სანიტარული მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

სკრინინგის განცხადების თანახმად, გარდაბნის არტეზიული აუზის მიწისქვეშა წყლები შესწავლილია წინასწარი ძიების სტადიაზე. ჭაბურღილის სავარაუდო სიღრმე შეადგენს 150 მეტრს. წიაღითსარგებლობის ობიექტის ზუსტი დებიტი უცნობია, თუმცა, ჰორიზონტის წყალშემცველობის ხარისხის გათვალისწინებით, ჭაბურღილიდან წელიწადში 250 000 მ³ მიწისქვეშა მტკნარი წყლის მიღება შესაძლებელია. საექსპლუატაციო მარაგი დამტკიცებული არ არის და წარმოდგენილია P (პროგნოზული) კატეგორიით. მოპოვებული წყლის გამოყენება მოხდება სამეწარმეო დანიშნულებით.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, სალიცენზიო ობიექტი საჭიროებს თავმორთულობის მოწყობას, მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავებას, შემოღობვას და ერთი მეტრის რადიუსზე დაბეტონებას, რის შემდგომაც ჭაბურღილიდან წყლის მოპოვება დასაშვებია.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში ნარჩენების წარმოქმნა მოსალოდნელი არ არის. საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, სალიცენზიო ობიექტიდან მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება, გარემოს დაბინძურებისა და ხმაურის გავრცელების კუთხით, არ იქნება დაკავშირებული მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ბუნებრივი რესურსებიდან გამოყენებული იქნება წყალი. წიაღით (წყლით) სარგებლობის სალიცენზიო პირობების განხორციელებით, რომელსაც ადგენს ლიცენზიის გამცემი ორგანო, დაგეგმილი საქმიანობა არ გამოიწვევს წყლის გარემოს დაბინძურებას.

სალიცენზიო ობიექტი არ მდებარეობს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, დაცული ტერიტორიების და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. შესაბამისად, ზემოაღნიშნულ კომპონენტებზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება განთავსდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და გადაეგზავნა გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიას საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით, წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილისა და ამავე კოდექსის მე-II დანართის მე-2 პუნქტის 2.2 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ქ. გარდაბანში წელიწადში 250 000 მ³ მიწისქვეშა მტკნარი წყლის სამეწარმეო მიზნით მოპოვება არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სსიპ მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და გარდაბნის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თამარ ფიცხელაური

თ. ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო